



ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულო

N 9

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

ქ. გარდაბანი
31.01.2024

9-06-4-202401311809



გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრებისათვის უფლებამოსილების
განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“
41-ე მუხლის მე-3 ნაწილისა და „გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
წევრების (გარდა თანამდებობის პირებისა) უფლებამოსილების
განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურების წესის
დამტკიცების შესახებ“ გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 22
თებერვლის N4 დადგენილების საფუძველზე, გარდაბნის მუნიციპალიტეტის
საკრებულომ

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა :

მუხლი 1

გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრებს (გარდა თანამდებობის
პირებისა) აუნაზღაურდეთ საკრებულოს წევრის უფლებამოსილების
განხორციელებასთან დაკავშირებით გაწეული მიმდინარე წლის იანვრის თვის
ხარჯი თანდართული ცხრილის შესაბამისად.

მუხლი 2

გარდაბნის მუნიციპალიტეტის მერმა უზრუნველყოს ამ განკარგულების დანართში
გათვალისწინებული თანხის დარიცხვა საკრებულოს წევრების შესაბამის საბანკო
ანგარიშებზე.

მუხლი 3

განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

მუხლი 4

განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს რუსთავის საქალაქო სასამართლოში (ქალაქი რუსთავი, ბოსტანქალაქის ქ. N 6) საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 22-ე მუხლის მე-3 ნაწილით დადგენილი წესით.

მიხეილ გედეხაური

საკრებულოს თავმჯდომარე

